



MES 8 22 0000975062



31/08/2022

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის ჩატარების თარიღი 25/08/2022
სხდომის დაწყების დრო 15:07 სთ
სხდომის დამთავრების დრო 17:35 სთ
სხდომის თავმჯდომარე - კახაბერ ფარცვანია
საბჭოს მდივანი - ანა საბახტარაშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე პირები

საბჭოს წევრები:

1. **კახაბერ ფარცვანია** - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი, სხდომის თავმჯდომარე;
2. **გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
3. **თამარა თორია** - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს წევრი;
4. **ანა საბახტარაშვილი** - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
5. **არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, საბჭოს წევრი;
6. **აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი):

1. **ნინო ჟვანია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. **თამარ შენგელია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს სკოლა ჩირაღდანო

1. დავით კაპანაძე - სკოლის დირექტორი

შპს NK

1. ნუგზარ ყენია - სკოლის დირექტორი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტი):

შპს სკოლა ჩირაღდანო

1. ცირა ნიკოლაიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
2. ნინო მუმლაძე - ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

შპს NK

1. თამარ მიდელაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
2. თეონა ყაჭეიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო) წევრები:

1. დავით მალაზონია - საბჭოს თავმჯდომარე;
2. თამარ მამსიკაშვილი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ზვიად გოგუაძე - საბჭოს წევრი;
4. ია გიგიბერია - საბჭოს წევრი.

სააპელაციო საბჭოს სხდომა დაიწყო 15:07 საათზე.

ცენტრის წარმომადგენელმა სხდომაზე დამსწრე პირებს მოახსენა, რომ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სააპელაციო საბჭოს სხდომა იმართებოდა დისტანციურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. საბჭოს სხდომა იყო საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ჩართვა.

დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრულმა საბჭოს წევრმა, კახაბერ ფარცვანიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სკოლა ჩირაღდანის სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი;
2. შპს NK- ს სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა ჩირაღდანის სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი;
2. შპს NK- ს სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი.

1. შპს სკოლა ჩირაღდანის სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დავით კაპანაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმსა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმოიხილა ის წინაპირობები, რაც დაედო საფუძვლად დაწესებულების მიერ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. მისი განმარტებით ეს იყო საბჭოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული ოთხი ხარვეზი და ერთი რეკომენდაცია, კერძოდ ის, რომ სკოლაში არ ტარდებოდა სპორტის გაკვეთილი; მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულებები არ იყო შესაბამისი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 174/ზ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან; პედაგოგთა პირად საქმეებში სრულად არ იყო წარმოდგენილი ის დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრული იყო სკოლის შინაგანაწესით, არ იყო წარმოდგენილი ნასამართლეობის ცნობები; ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება-სკოლაში არ მუშაობდა და ასევე, არ ხორციელდებოდა დებულებით განსაზღვრული აქტივობები; საათობრივი ბადაე არ იყო შეთანხმებული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან; წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებები ორიენტირებული იყო ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზე და არ ითვალისწინებდა სააზროვნო უნარების შემოწმებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა საკუთარი პოზიცია ზემოხსენებულ გარემოებებთან დაკავშირებით. სპორტის გაკვეთილის ჩატარებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ 1-4 კლასის ჩათვლით სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს ატარებდა დაწყებითის მასწავლებელი. რაც შეეხებოდა ჭადრაკს, ის შეთავაზებული იყო მოსწავლეებისთვის წრის სახით. ასევე, წლის ბოლოს სკოლა ატარებდა მხიარულ სტარტებს და ლაშქრობას. დაწესებულებას ასევე, დაქირავებული ჰქონდა ახლოს მდებარე სპორტული დარბაზი, თუმცა პანდემიის გამო ვერ ხდებოდა დარბაზით სარგებლობა. დღის მეორე ნახევარში დარბაზით სარგებლობდნენ სხვა პირები, შესაბამისად დილით რა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დახვდებოდათ არ იცოდნენ.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაწესებულებას გაცილებით მეტი ხარვეზი უფიქსირდებოდა. მან დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ჰქონდა თუ არა მას ყველა ხარვეზთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მან კანონით მინიჭებულ 10 დღიან ვადაში, რომელიც მას მიეცა დასკვნის პროექტის გაცნობიდან, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისთვის, ყველა ხარვეზი გამოასწორა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება წინასწარ იყო ინფორმირებული დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შესახებ, შესაბამისად, გარდა იმისა, რომ ავტორიზებული დაწესებულება მუდმივად უნდა ზრუნავდეს სტანდარტებთან შესაბამისობაზე, რეავტორიზაციის პროცესშიც მეტი მზაობა უნდა ეჩვენებინა სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეფასების ფარგლებში ექსპერტების მხრიდან არ იყო თანამშრომლობითი გარემო უზრუნველყოფილი, რამაც ხელი შეუშალა სკოლას არსებული რესურსების სრულყოფილად წარმოჩენაში. წარმომადგენელმა ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში სკოლის კედლიდან ცხრილი ჩამოხია.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ, ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს თხოვა დაეფიქსირებინათ პოზიცია, თუ რატომ იყო საბჭოს სხდომის ოქმში მხოლოდ რამდენიმე ხარვეზზე საუბარი, როცა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცილებით მეტი ხარვეზი უფიქსირდებოდა დაწესებულებას.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა რომ სკოლისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთული პროცესი იყო საბჭოსთვის, თუმცა საბჭოს თითოეული წევრის ვალდებულებას წარმოადგენდა ყოფილიყო მაქსიმალურად ობიექტური. მან განმარტა, რომ ოქმში ასახული იყო საბჭოს მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის სრულად გაზიარების შესახებ ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს თითოეულ ხარვეზზე საბჭოს ყველა წევრს განეხილა და დაეფიქსირებინა პოზიცია ზეპირ განხილვაზე. ასევე, აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენელის პასუხებიდან გამომდინარე, ვერ იქნა დანახული ხარვეზების გაბათილების მყარი არგუმენტები. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეებისთვის ხარისხიან განათლებას და უსაფრთხო გარემოს. დავით მალაზონიამ ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტი, რომელიც ცეცხლმაქრებთან და კომპიუტერებთან დაკავშირებით, დაადასტურებდა საკუთრებას, რამდენიმეს გარდა. აქ პრობლემა იყო, რომ დაწესებულებას გაუმართავი ჰქონდა ისეთი მნიშვნელოვანი ინვენტარი, მაგალითად, როგორც ცეცხლმაქრი იყო. ასევე პრობლემა იყო ის, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 2012 წლის საბუთები, ინვენტარის

ვარგისიანობასთან დაკავშირებით. შეფასების შედეგად ვერ გამოირკვა სკოლაში რამდენი მერხი, სკამი, ასევე, დაფები შემორჩა, რამდენი განახლდა, ასევე, არ იყო დაწესებულების მიერ მათი ვარგისიანობა შეფასებული.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სპორტის გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებით, დღევანდელი გამოსვლა, მეტად განამტკიცებდა, რომ მათ ორი წელია სპორტული დარბაზით არ უსარგებლიათ. უბრალოდ ლაშქრობა, ვერ ჩაანაცვლებდა სპორტის გაკვეთილს.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ შეკითხვით მიმართა, ავტორიზაციის საბჭოს წევრებს, თუ რატომ იყო ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად ოქმში დაფიქსირებული, შენობის გარეთ არსებული ინვენტარის საკითხი, მაშინ როცა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ეს არ იყო ხაზგასმული და ცალკე ხარვეზად დაფიქსირებული.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა რომ ეს გარემოება დასკვნაშიც იყო დაფიქსირებული და შესაბამისად, იყო განხილვის საგანი და აისახა ოქმშიც. ასევე, აღნიშნა, რომ გასაკვირი იყო, რომ სკოლას სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ 5 პუნქტი, მაშინ, როდესაც დაწესებულებას ჯამში 22 ხარვეზი უფიქსირდებოდა. მან განმარტა, რომ ავტორიზაცია არ არის სადამსჯელო ღონისძიება, პირიქით, ის დაწესებულების განვითარებაზე იყო ორიენტირებული და სკოლა განსაკუთრებით რეავტორიზაციის პროცესისთვის უნდა ყოფილიყო იმდაგვარად მომზადებული, რომ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეუსაბამობა არ ჰქონოდა. მან აღნიშნა, რომ საბჭო ხელჩასაჭიდს ეძებდა და აძლევდა დაწესებულებებს გამოსწორების ვადას, მაგრამ ეს იყო ის შემთხვევა, როდესაც მათ ამის შესაძლებლობა ვერ დაინახეს. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე არ დაფიქსირებულა ის პოზიცია, რომ თანამშრომლობა არ შედგა დაწესებულებასა და ექსპერტებს შორის. თამარ მამსიკაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის ძალიან მოულოდნელი და მიუღებელი იყო სკოლის წარმომადგენლის ასეთი დამოკიდებულება.

სხდომაზე სიტყვა ითხოვა ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“, რაც ნიშნავდა იმას, რომ ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ ვერ იქნა დანახული სკოლის განვითარებაზე ორიენტირებულობა. ამასთან, შეფასების შედეგად გამოვლენილი 22 დარღვევის გაბათილება და არსებითად განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელი იყო ავტორიზაციის საბჭოსთვის. ზვიად გოგუაძის განცხადებით, ასევე, სკოლას შემხვედრი წინადადებები ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიმართ არ გაუჟღერებია ზეპირ მოსმენაზე, ასევე არ გამოუთქვამს პრეტენზია ექსპერტთა კვალიფიკაციასა და მათთან თანამშრომლობაზე.

დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს შესაძლოა ვერ მოხერხდეს დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის, სასკოლო სასწავლო გეგმის გასწორება, მაგრამ შესასვლელში დასუფთავებული გარემო და ნათურების დაყენება გამოსწორებადი იყო, შესაძლებელი იყო ასე არ დახვედროდა ექსპერტთა ჯგუფს. შესაბამისად, არ იყო გასაკვირი, რომ აღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვია საბჭოს სხდომაზე დისკუსია.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, რომ ის არ იზიარებდა სკოლის მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებას თანამშრომლობასთან დაკავშირებით. აქვე განმარტა, რომ მათ შეისწავლეს დაწესებულების თვითშეფასება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, და რიგი

საკითხების სრულყოფილად შესასწავლად გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი იყო გაკვეთილების ცხრილი, რომელიც ზუსტად ასახავდა კვირის რომელ დღეს, რომელ კლასს გაკვეთილები რა თანმიმდევრობით უტარდებოდათ. აღნიშნული დოკუმენტი გამოთხოვილ იქნა ვიზიტის პირველ დღესვე. ამის ნაცვლად სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის ამსახველი ბადე, excel-ის ფაილი, რომელიც ასახავდა პედაგოგთა სამუშაო განრიგს, თუ რომელ დღეს რომელ კლასში, რიგით რომელ გაკვეთილს ატარებდა მასწავლებელი. ექსპერტის განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი იყო ცხრილი. აღნიშნული დოკუმენტი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დადასტურებულიყო, სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მოთხოვნებთან. ცირა ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში, ადგილზე ვიზიტისას, შესასვლელში, გაკრული იყო ცხრილი, რომელიც ჩამოიხსნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ, იმისათვის, რომ დადარებულიყო დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტს, მასწავლებელთა დატვირთვისას. შედარების დროს გამოიკვეთა შეუსაბამობები, რის შესახებაც აღნიშნული იყო დასკვნის მესამე ნაწილში. ექსპერტის განცხადებით, სკოლას მოსთხოვეს მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტაციად აუდიტის დასკვნები წარმოდგინა, რომლებიც აღწერდა 2012 წელს არსებულ მდგომარეობას. ექსპერტის თქმით, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას განემარტა, თუ რატომ ვერ მიიჩნევდნენ ექსპერტები 2012 წელს შესრულებულ აუდიტის დასკვნებს და ქონებრივ დეკლარაციას, ადგილზე არსებული ინვენტარის დამადასტურებელ დოკუმენტად. ცირა ნიკოლაიშვილის განცხადებით, მაგალითად, დეკლარაციაში მითითებული იყო მხოლოდ ხუთი კომპიუტერი, ექსპერტთა ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი იყო ყველა კომპიუტერის ფლობის დადასტურება, გარდა ამისა ნივთების იდენტიფიცირებაც. ექსპერტების მიერ მოთხოვილ იქნა საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი. განახლებული ამონაწერი დაწესებულებამ არ წარმოადგინა იმ მიზეზით, რომ საჯარო რეესტრში ვიზიტი საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდებოდა. რაც შეეხებოდა უსაფრთხოების საკითხებს, სკოლის მოსწავლეებისათვის თავისუფლად იყო შესაძლებელი შენობის მესამე სართულზე მოხვედრა და გადაადგილება. მესამე სართული არ იყო კეთილმოწყობილი, დასაწყობებული იყო სასკოლო ინვენტარი. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ 10 დღიან ვადაში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტები, რომლის შესწავლის შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი, თუმცა აღნიშნული გარემოებები არ აისახა საბოლოო დასკვნაში, რადგანაც ვიზიტის შემდეგ განხორციელდა მოცემული აქტივობები, თუმცადა ექსპერტების მიერ აღინიშნა ავტორიზაციის საბჭოს ზეპირი მოსმენის დროს.

სხდომის თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რატომ არ მოხდა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინება და საბოლოო დასკვნაში ასახვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება ითხოვა ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ, რომელმაც განახადა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ უფლებამოსილება, არ გაეთვალისწინებინათ არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც წარმოდგენილი იყო ვიზიტის შემდგომ შემუშავებული დოკუმენტაცია და არ აესახათ საბოლოო დასკვნაში. დასკვნის პროექტი და საბოლოო დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს დაწესებულების საავტორიზაციო განაცხადით და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს, ხოლო სკოლის არგუმენტირებული პოზიცია უნდა ეფუძნებოდეს დასკვნის პროექტში არსებულ ფაქტობრივ უზუსტობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში, სკოლის მიერ მოგვიანებით შემუშავებული დოკუმენტაციის შესწავლა, ეს იყო ექსპერტთა კეთილი ნება. ამასთან, დებულების მე-17 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირ მოსმენაზე

გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მამიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება ასევე, გააკეთა ზვიად გოგუაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 10 დღიან ვადაში სკოლის პოზიციის წარმოდგენა, ეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან წარმოსადგენ პოზიციას და ეს ვადა არ ითვალისწინებდა გამოსწორების საშუალებას. აქედან გამომდინარე, ვერავინ მოუწოდებდა ექსპერტებს, შეეცვალათ ასახული ფაქტობრივი გარემოებები, რადგან ეს მოთხოვნა ეყრდნობოდა იმპერატიული ხასიათის მოთხოვნებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:30 საათი

დასრულების დრო: 16:35 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს სკოლა ჩირაღდანისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 ივლისის N787505 გადაწყვეტილების გაზიარების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას „შპს სკოლა ჩირაღდანისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 ივლისის N787505 გადაწყვეტილება.

დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა სააპელაციო საბჭოს წევრებს და წარმატებები უსურვა.

2. შპს NK-ს სააპელაციო საჩივრის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ საჩივარში ასახული ძირითადი სადაო გარემოებების წარმოდგენის მიზნით, სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს და დასძინა, რომ სხდომის

მიმდინარეობისას შესაძლებელი იქნებოდა დამსწრე პირებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები ან კითხვა-პასუხის რეჟიმში მხარეებთან დაეზუსტებინათ რიგი საკითხები.

დაწესებულების დამფუძნებელმა და დირექტორმა, ნუგზარ ყენიამ, მოკლედ მიმოიხილა შპს NK - ის დაფუძნებისა და ფუნქციონირების პრეისტორია და აქცენტი გააკეთა საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დასკვნაში ასახულ ხარვეზებზე. მისი განმარტებით, მატერიალურ სტანდარტთან მიმართებით არსებულ ერთ-ერთ შეუსაბამობას წარმოადგენდა დაწესებულებაში საერთო შესასვლელის არსებობა, რომლითაც სარგებლობდნენ, როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე მეორე სართულზე მდებარე კრივის დარბაზით მოსარგებლე გარეშე პირებიც. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრივისა და ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების აქტივობებს ეთმობოდა ძირითადად დღის მეორე ნახევარი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მდებარეობდა ვერის ბაღში, რეკრეაციულ ზონაში, მას არ ჰქონდა შემოსაზღვრული ღობე, თუმცა იმისათვის, რომ გაეკონტროლებინათ დაწესებულებაში შემსვლელი პირები, მეორე სართულზე არსებული დარბაზით სარგებლობის მიზნებისთვის, სკოლამ დაცვის თანამშრომლებთან გააფორმა ხელშეკრულებები და წარმოადგინა ცენტრში.

რაც შეეხებოდა სასწავლო პროცესს, სკოლა საგანმანათლებლო მომსახურებას ხუთ საათამდე სთავაზობდა მოსწავლეებს და სკოლაში დასაქმებული უსაფრთხო სკოლის მენეჯერი უზრუნველყოფდა, სპეციალურად განკუთვნილ ჟურნალში, თითოეული ვიზიტორის შემოსვლა/გასვლის აღრიცხვას.

32 კილოვატიანი საყოფაცხოვრებო წყლის გამათბობლების შენობის შიგნით არსებობის თაობაზე სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული პერიოდისთვის დაწყებული იყო აღნიშნული წყლის გამათბობლების სკოლის ვერანდაზე გატანის სამუშაოები. 160 კვ. მეტრის ვერანდა გამათბობლების დამონტაჟების შემდგომ გადაიტხრებოდა, რათა შეეხება არ ჰქონოდა სასწავლო პროცესთან. ამის დასადასტურებლად, სკოლას, ცენტრში, წარმოდგენილი ჰქონდა თბილსერვის ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულება, პროექტის მომზადების შესახებ და ასევე, თანხის გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დავალება. სკოლის წარმომადგენელმა ხარვეზების შეჯამების დასკვნით ნაწილში აქცენტი გააკეთა ვიდეო თვალთვალის სისტემაზე და აღნიშნა, რომ სკოლის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო თვალთვალის სისტემა უზრუნველყოფდა სკოლის გარე პერიმეტრის, მათ შორის, ქუჩის ნაწილის სრულად ვიდეო დაკვირვებას და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობას. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სკოლამ ასევე გააგზავნა ცენტრში.

სხდომაზე დაზუსტდა რომ სპორტული დარბაზის გასახდელებში არსებული წყლის გამათბობლები რომლებიც გაზე მუშაობდა ჩანაცვლდა დენის გამათბობლებით.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, სრულად შეასრულა თუ არა სკოლამ ის რეკომენდაციები, რაც გაცემული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. წარმომადგენლის განცხადებით, კვლავ პრობლემას წარმოადგენდა სკოლის ტერიტორიაზე, შენობის სართულებიდან ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის უზრუნველსაყოფად მეორე საევაკუაციო გასასვლელის (კიბის) მოწყობა, თუმცა იქვე დასძინა, რომ სკოლამ ინტენსიურად დაიწყო მუშაობა ალტერნატიული, სხვა შენობის მოძიების ღონისძიებებზე.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, დავით მალაზონიას, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა ის გარემოება, თუ რა გახდა საბჭოს წევრთა უმრავლესობისთვის უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. დავით მალაზონიას განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება პირველ რიგში ეფუძნებოდა სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას. სკოლის შესასვლელში ცოცხალი დაცვის დაყენება ვერ

იქნებოდა საბჭოს წევრებისთვის დამაჯერებელ არგუმენტად მიჩნეული, თუ რამდენად ჩაანაცვლებდა ეს გზა იზოლირებულ შესასვლელს, მაშინ, როდესაც ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი აღნიშნული მექანიზმის შემუშავების ალტერნატიული გეგმა. შესაბამისად, კითხვა, იქნებოდა თუ არა უზრუნველყოფილი აღნიშნული სისტემით შენობაში შემავალი მოსწავლეების უსაფრთხოება და განცალკევება ამავე შენობით მოსარგებლე სხვა პირებისგან, რჩებოდა ღიად. დაწესებულების წარმომადგენელი გამოეხმაურა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას და დააფიქსირა თავის მოსაზრება, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმი მაქსიმალურად დაიცავდა მოსწავლეთა უსაფრთხოებას. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის მისასალმებელი იყო სკოლის მხრიდან ამგვარი გეგმის არსებობა.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ აღნიშნა, რომ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდა სამართლიანობის პრინციპების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, განუხრელად ყველა დაწესებულების მიმართ თანაბარი მიდგომების გამოყენება. ამდენად, თუკი საკითხი დაუბრუნდებოდა ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად, სკოლას შემუშავებული უნდა ჰქონოდა სკრუპულოზურად გაწერილი სამოქმედო გეგმა მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების სხვა პირთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხს დაეთანხმა ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. მან განავრცო თემა და განაცხადა, რომ, თუკი საკითხი დაუბრუნდებოდა ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად, სკოლას უნდა წარმოედგინა დამაჯერებელი არგუმენტებით გამყარებული მექანიზმი უსაფრთხო გარემოსთან მიმართებით, რადგანაც, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭოს თითოეულ წევრს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა დაცულობასა და უსაფრთხოებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:20 საათი

დასრულების დრო: 17:25 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს NK-ს ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ იქნას შპს NK-ს ავტორიზაციის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღება ძირითადად განსაზღვრა დაწესებულების მხრიდან გამოხატულმა მზაობამ, კერძოდ, დაწესებულება იზიარებდა უსაფრთხოების საკითხის მოგვარების აუცილებლობას.

სხდომის ბოლოს, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ითხოვა სიტყვა და შეჯამების სახით აღნიშნა, რომ მიესალმებოდა საკითხის დაბრუნებას და მომავალში, დიდი ინტერესით მოისმენდა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და პოზიციას.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ფარცვანია კახაბერ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

